


ს ა მ ს ლ ი



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ქოველ კვირა დღეს
№ 52 დ ე კ ე მ ბ ე რ ი 25 1898 წ. № 52

შინაარსი: გადასახლება ნ. ჟორდანიასი.—სხვა-და-სხვა ამბავი.—განწირულნი საშობაო მოთხოვნა გ. წერეთლისა.—
კრიტიკული შენიშვნები (დასასრული) ივ. გომართელისა.—გამოკვრიოთ სი—ძისა.—ბაქო (დასასრული) არიძისა.—საქველ-მოქ-
მედო საქმე.—ქუთაისის ბანკის და კერძო განცხადებები

რედაქციის ადრესი: არწილერიის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც აქამდის რედაქცია იმყოფებოდა.

№ XII „ჯუჯილისა“ გამოვიდა და დატურიგდება ხელის მომწერლებს.

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნა- გა და ს ა ხ ლ ე ბ ა .
ხატებიანი გაზეთი II

„ს ა მ ს ლ ი“

გამოვა 1899 წელსაც ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბახამდე. იმავე პროგრამით და იმავე თანამშრომლებით, როგორც 1898 წელს.

გაზეთი წლიურათ ღირს გაუზაფენელათ 7 მანეთათ, ხოლო გაგზავნით 8 მანეთ. ნახევარი წლით გაუზაფენელათ 3 მან. 50 კაპ., გაგზავნით 4 მანეთ. სამი თვით გაუზაფენელათ 2 მანეთ., გაგზავნით 2 მ. 50 კ. ოთხ თვით ნომერი სამ შაურათ. ხელის მომწერლებს წლის ფული შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გამოგზავნონ. ხელისმოწერა მიიღება თფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (Дворцовая ул. д. зем. банка № 101) და თვით „კვალის“ რედაქციაში არტალერიის ქუჩა, № 5, კორპუსის ახლო.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ редакция „СВАЛИ“.

პირველ წერილში ჩვენ მოკლეთ გავარკვეეთ გადასახლების ძალა და მნიშვნელობა, როცა ის თავის ბუნებრივ დულილზე მიშვებულთ, ე. ი. როცა ის გამოწვეულია რომელიმე ერის ეკონომიური მდგომარეობით და სახეში აქვს უმთავრესათ ქონების და დოვლათის შეცდენა, ან და ადამიანის უსაჭიროესი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. მარა არის ისეთი გადასახლებაც, რომლის უმთავრესი მიზანია არაეკონომიური კეთილდღეობა, არამედ რაიმე პოლიტიკური, ან ნაციონალური მოსაზრება. ამ შემთხვევაში გადასახლება შეიძლება ხდებოდეს წინააღმდეგ გადასახლებულთა ნიეთიერი ინტერესისა, თუ კი ის პოლიტიკურ ინტერესს ეთანხმება. ამიტომ ეს ორი მხარე ხშირათ შეეტაკება ხოლმე ერთმანეთს, ხშირათ დაჩაგრავს და დაასუსტებს ერთი მეორეს. და თუ მაინც ასეთი გადასახლება წარმოებს, ამის მიზნებია არა თვით გადასახლებულნი, არამედ მათ ზევით მდგომი გარეშე ძალა. ხალხი, გინდ მისი ერთი ნაწი-

კ. მარქსის ს. ხ. სსრ
სახელმწიფო და საზოგადოებრივი
მეცნიერებათა აკადემია

ლი, საცხოვრებელ ბინას ცეკლის ცხოვრების გასაუმჯობესებლათ, ხოლო სხვანაირი, უფრო განყენებული, მიზანი მას ვერ გაიტაცებს და თავის ძველ მიწა-წყალზე ხელს ვერ ააღებებს. ასეთი მიზნით შეიძლება ხელმძღვანელობდეს თათო-ოროლა მოღვაწე, ან და სახელმწიფო... ცხადია, ასეთი გადასახლება ხალხის განვითარების ბუნებრივი შედეგი არ არის, პირიქით, ის არის გამოწვეული ხელოვნურათ და დამაგრებულია ხელოვნურათვე. ამისათვის მას ძალიან ბევრი დაბრკოლება ეღობება წინ, ძალიან ბევრ მსხვერპლს იწირავს და საქმე მაინც სასურველ ნიადაგზე ვერ მყარდება. რატომ? რისთვის? ამის მიზეზია ის, რომ გადმომსახლებელთა პოლიტიკურ მისწრაფებას ეწინააღმდეგება გადასახლებულთა ეკონომიური მისწრაფება და მათ შორის იმართვის ბრძოლა. და სანამ ეს კონფლიქტი (შეჯახება) არ მოისპობა, მანამდის არ მოისპობა არც უმთავრესი დაბრკოლება და ამართული ზღუდე ამართულათ დარჩება. ხოლო როცა ის მოისპობა, მაშინ გადასახლება ბუნებრივ გზას დაადგება და ხელოვნური ზომებიც საჭირო აღარ იქნება.

ევროპის დიდ სახელმწიფოთა შორის სწულიად ბუნებრივ გადასახლებას აწარმოებდა და აწარმოებს ინგლისი. აქ მთავრობა ამ საქმეში პირდაპირ არ ერევა. ეს ინგლისელის თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული, მის გაპქრიახობასა და თაოსნობაზეა მიშვებული. სამაგიეროთ საფრანგეთი, გერმანია და რუსეთი სხვანაირათ აწარმოებენ ამ პროცესს; სამივეს მთავრობა მხურვალე მონაწილეობას ღებულობს თავის მოქალაქეთა გადასახლებაში და ახალ ადგილებზე მათი ყოფმადგომარეობის მოწყობაში. მარა ამათ შორისაც, რასაკვირველია, განსხვავება იმდენათ, რამდენათაც ისინი წყობილებით და სახელმძღვანელო აზრებით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ესენი, ასე ვთქვათ, აწარმოებენ სამ სხვა-და-სხვაგვარ გადასახლებას ერთი და იმავე სისტემისას, რომელთა გასაცნობათ ჩვენ აქ მკითხველს თვალწინ გავუტარებთ შემდეგ სამ მაგალითს: ფრანგების გადასახლება ალჟირში, გერმანელთა—პოლში (სილეზია და პოზნანი) და რუსებრს—კავკასიაში.

1830 წ. საფრანგეთმა დაიპყრო ჩრდილო აფრიკის ერთი ნაწილი, ალჟირი, ქვეყანა დიდათ დაჯილდოვებული უხვი ბუნებით, ხოლო დიდათ ღარიბი მკვიდრთა მოძრაობით და საქმიანობით. აქაური მცხოვრებნი, რომელთა უმრავლესობას არაბები შეადგენენ, არც ისე უკულტურო იყვენ, რომ ველური ცხოვრება ეტარებიათ და არც ისე კულტურიანი, რომ ევროპის გზაზე შემდგარიყვენ. მათი ცხოვრების უმთავრესი წყარო იყო—მიწის შემუშავება და საქონ-

ლის მოშენება. ერთი სიტყვით მდიდარი ბუნება, თავისუფალი ადვილები, ცოტა ხალხი, დაბალი კულტურა—აი საუკეთესო ნიადაგი გადასახლებისათვის. და კიდევაც დაძრენ ევროპიელნი ალჟირისაკენ. მარა აქ მათ ერთი დიდი დაბრკოლება დახვდათ—ეს იყო თვითონ მთავრობა. მან ბრძანება გასცა (1831 წ.) ალჟირში წასასვლელათ პასპორტი მიეცეს მხოლოთ ისეთ პირს, რომელსაც იმდენი შეძლება ექნება, რომ იქ თავისუფლათ ცხოვროსო. 1853 წ. ქენეის ერთ კომპანიას სურდა ახალშენის დაარსება, მარა საფრანგეთის მთავრობამ თვითოეულ ახალშენელს 3,000 ფრანკის ქონება მოთხოვა. გადასახლებულ უბრალო მუშას უნდა ჰქონებოდა 400 ფრანკი მაინც, ხოლო მიწის შეძენის მსურველს 1500—3000 ფრანკამდე, წასვლა კი მუქთი იყო. ცხადია, მთავრობას სურდა რაც შეიძლება ღონიერი და შეძლებული ელემენტი გადაესახლებია, რომ უცხო ბუნებას და ზნე-ჩვეულებას მედგრათ შებრძოლებოდა. მარა მიუხედავათ ასეთი შტრჩევისა, 1857 წ. 80 ათას გადასახლებულთაგან 70 ათასი უკან დაბრუნდა. ესენი ვერ შეეწყვენ ვერც იქაურ მიწა-ადგილს და ვერც იქაურ ჰავას. განსაკუთრებით ჰავამ იმსხვერპლა დიდ-ძალი ევროპიელი. 1830—1864 წლებში გადაიცილა 62,768 ევროპიელი, ხოლო დაიბადა 44,900. გადასახლებულთა ასეთ ამოწყვეტაში სხვადა-სხვა ერი სხვა-და-სხვანაირ მონაწილეობას ღებულობს. ისინი რაც უფრო ჩრდილოეთიდან არიან მოსულნი, მით უფრო მარცხდებიან ბუნებასთან ბრძოლაში და მით უფრო იხოცებიან. მაგ. 1856 წ. ათას სულ ევროპიელზე დაბადა გერმანელი 31, დაიბოცა 56; ფრანგი 41, დაიბოცა კი 43, იტალიელი—39 და 28, ხოლო ისპანიელი 46 დაიბადა და 30 მოკვდა. ასე რომ 1880 წლის გასელამდის თითქმის ერთი მილიონი ევროპიელი გადასახლდა, მარა უმრავლესობა ან უკან დაბრუნდა, ან და დაიბოცა და 1891 წ. დარჩენილთა რიცხვი ძლიერს ნახევარ მილიონს აღწევდა, ამაში ფრანგები უმცირესობაა, სულ 272 ათასი. ამ ქამათ ბუნების სიკაცურ დაძლეულთა და ევროპიელთა გამრავლებაც მკვიდრათ მიმდინარეობს. მეორე მხრით, ამ ახალმოსულ ხალხმა ქვეყანაში მეტი სიცოცხლე, მეტი საქმე და წარმოება შეიტანა, რამაც ადგილობრივი მკვიდრიც ამოძრავა და შრომის ყოველნაირ საბიელზე გამოიყვანა. მეტი საქმე კი მეტ ხალხს თხოულობს. მაშინ როდესაც მეთაურები, ევროპიელნი, რიცხვით უკან-უკან მიდიოდენ, ალჟირელნი კი გამრავლდენ და გაძლიერდენ. ამათი რაოდენობა 1877 წ. იყო ორ მილიონ ნახევარი, ხოლო 1891 წ. სამ მილიონ ნახევარს გადააცილა. მარა ამათი სუსტი მხარე იმაში მდგო-

მარეობს, რომ თათქმის ყველა მეურნეობით ცხოვრობს (3,228,522 სული), მრეწველობა და ვაჭრობა კი ერთიანათ ევროპელთა, განსაკუთრებით ებრაელთა, ხელშია. აქედან აიხსნება ის საშინელი ანტისემიტური მოძრაობა, რომელიც დღეს ალჟირში ტრიალებს. ამას ისიც უნდა დაეუმატოთ, რომ გადასახლებულთა ათჯერ მეტ გადასახადს იხდის, ვინემ მკვიდრი. 1)

ამნაირათ, საფრანგეთის კოლონიალური პოლიტიკა ალჟირში არის პოლიტიკა ზომიერი, მას არც მკვიდრთა განადგურება აქვს სახეში და არც მათი ძალათ გაფრანგება. ის არ მეცადინეობს არც არაბთა ხელოვნურათ გაღარიბებას და არც ფრანგთა ხელოვნურათ გამდიდრებას.

სულ სხვაა გერმანია. პირველ ყოვლისა, გერმანიის პოლიტიკურ წყობილებას ბიუროკრატიულ-ფეოდალური ბეჭედი ახის. ამიტომ აქ თუ რამეს აკეთებს სახელმწიფო, აკეთებს უთუოთ ბიუროკრატიული წესრიგით. მეორეთ, გერმანიის ნაციონალური მიმართულება, მის საზღვრებში მყოფი უცხო ერები გააკერმანელოს, გერმანიის კულტურა, ენა და ზნე-ჩვეულება შეუსისხლ-ხორცოს. ამ მიმართულებას ეწოდება პან-გერმანიზმი. ერთი სიტყვით, ბიუროკრატიზმი და პან-გერმანიზმი—აი, გერმანიის მთავრობის ორი ფეხი, ის ყოველთვის და ყოველგან ამაზეა შემდგარი და ამით დადის. და, რაღა გასაკვირველია, ამითვე რომ შესულიყო პოლშიაში, ელხას ლოტარინგიაში, შლეზვიგ-ჰოლშტაინში და სხვაგან. აქ განსაკუთრებით საინტერესო არის გერმანიის კოლონიალური პოლიტიკა პოლონელთა მიმართ. გერმანია გაცილებით უფრო წინ-წაწეულია ეკონომიურათ, ვინემ პოლშია. მაშინ როდესაც გერმანიის თითქმის ყველა ნაწილებში მრეწველობა ქარბობს მეურნეობას, პოზნანში და სილეზიაში (პოლშის პროვინციე-

ბი) მეურნეობა ბატონობს. და რადგანაც დღეს მეურნეობა მეორე ხარისხიან რაღს თამაშობს ნაციონალურ წარმოებაში, ცხადია პოლონელსაც მეორე ხარისხიანი როლი უნდა მანიჭებოდა გერმანიაში. და ასე ერთმანეთს დაეჭაკენ გერმანელი მრეწველი და პოლონელი მემამულე. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. თავად-აზნაურობამ თანდათან გაანაღდა თავისი მამული, მას გერმანელი ფულის პატრონი დაეპატრონა. ის გადასახლდა ახალ სამშობლოში და ხელი მიჰყო მეურნეობას. მარა, მეორე მხრით, მას არ გაჰყვა გერმანიის მუშა-ხალხი; არ გაჰყვა ერთი იმიტომ რომ თვით გერმანიაში მრეწველობის აღორძინებამ დიდ-ძალი სამუშაო გაუჩინა და მაშასადამე სხვაგან წასვლას არ საჭიროებდა. მეორეთ, იმიტომ რომ პოლონელივით ცოტა ქირას არ დაჯერდებოდა და მაშასადამე კონკურენციასაც ვერ გაუწედა. ასე და ამნაირათ, გერმანელი მემამულე მოიმწყედა პოლონელთა შორის და იძულებული შეიქნა რამდენიმეთ გაპოლონელებულიყო. ამას გარდა, მან, როგორც ფულიან მემამულემ, ხელი მიჰყო მიწის ინტენსიურათ წემუშაებას, ბევრი მუშა ხალხის დაქირაებას და სხვა. პოლონელ ხალხს საქმე გაუჩნდა, სამუშაო კარზე მოუკარდა. ამ გარემოებამ წინა წასწია ხალხის გაძრავლება და მით პოლონელთა გავლენა და მნიშვნელობა გაძლიერდა. ახლა ისინი თავისი სამშობლოთი არ დაკმაყოფილდენ, თვით გერმანელთაც მიუხდენ მათ ქვეყანაში და შრომის ბაზარზე შეეცილენ. აი, ამ მიმდინარეობამ დიდათ დააფიქრა მთავრობა და რეისტაგი. სახელმწიფომ მოინდომა ამის შეფერხება, ერთი მხრით, სასტიკი კანონებით (ბისმარკის პოლიტიკა პოლონელთა ენის და სკოლის შესახებ) და მეორე მხრით, შიგ პოლშიაში გერმანელთა გადასახლებით. ითქვა—ასრულდა. 26 აპრილს, 1886 წ., რეისტაგმა ხმის უმრავლესობით მიიღო ბისმარკის კანონ-პროექტი გადასახლების შესახებ. ამ კანონის ძალით დაარსდა განსაკუთრებით გადასახლებელი კომისია, რომლის დანიშნულებაა შემდეგი: 1) შეყიდვა პოლონელთა მიწა-ადგილები; 2) დაქრა პატარ-პატარა ნაწილებათ და იჯარით, ან ყიდვით გერმანელ კოლონისტებისთვის მარცხა; 3) ამისათვის კომისიას ეძლევა ხაზინიდან ასი მილიონი მარკა (დაახლოებით 48 მილიონი მანეთი); 4) დახსნა გერმანელთა ახალსოფლებში სკოლების, ეკლესიების და სხვა საჭირო დაწესებულებების. კომისიას მამულები უნდა ეყიდა ისეთ სოფლებში, სადაც გერმანელი და პოლონელი ახლო-ახლო, ან და შერეულათ ცხოვრებდენ. გადასახლება იქ, სადაც მხოლოდ პოლონელი ან და გერმანელია, უნაყოფოა, ვინაიდან პირველ შემთხვევაში პოლონელთა გავლენ-

1) რაც შეეხება მიწა ადგილების შექმნას, ამას უნდა ითქვას შემდეგი: მთავრობამ ძამუფი ჩამოაწოვა მხოლოდ აზნაურობას (ბეებს) და სასაზინოთ შერიცხა, საღლის საკუთრებას კი არ შეეხება. გადასახლებულთ პირველათ სასაზინო მიწა ეძლეოდათ მუქათ იმ პირობით რომ გაყიდვა და დაგირავება არ შეეძლოთ, მარა ჩანდა გამოჩნდა, რომ ამ მუქათ შექმნილ მიწას, და კიდევ ასეთი პირობით, სასუკვეფი ნაყოფი ვერ მოჰქონდა, შატრონი მას არ უყურებდა, როგორც საკუთარ მამულს და ვერც ნმარობდა, როგორც საკუთრებას. ამან დაჰქვიათ მეურნეობა და უკან დაჰქნა მეურნეობა. ამიტომ შემდეგ მუქათ დადირავება მოსხეს და დაიწყეს მიწის გაყიდვა, რამაც სამეურნეო საზარეზე უფრო შეძლებული საღის გამოიყვანა.

ნა თავისას იხამს, ხოლო მეორე შემთხვევაში კა აღარაინ არის გასაგერმანელებელი. გადმოსახლებულს პირველ სამ წელიწადს მიწა მუქათა ეძლევა, მერე კი სამი პროცენტი უნდა იხადოს ხაზინის სასარგებლოთ, სანამ ერთიანათ გამოიყიდდეს. დროებით მოიჯარადრეს კი ასეთა შეღავათა არ აქვს. გადმოსახლებულთ უნდა ჰქონდესთ იმდენი შეძლება, რომ მამული შეამუშაონ და თავის ალაგას დიდ ხანს გასძლონ. მათ და კომისიას შორის იკერება პირობა ნოტარიუსის წესით. კომისიის გამოანკარიშებით გადადებული ფულით უნდა შეყიდულიყო 200,000 ჰექტარი მიწა (თითო ჰექტარი 560 მარკათ). აი, ასეთია პლანი.

ახლა ენახოთ როგორია საქმე. გასულ წელს მთავრობამ რეისტრავს წარმოუდგინა ამ გადასახლების ანგარიში, საიდანაც ეტყობულობთ შემდეგს: ათი წლის განმავლობაში (1886—1896) ორ მილიონ პოლონელთა შორის ჩაუსახლებიათ მხოლოდ 1975 კომლი გერმანელი, რაიცა ათი-ათას სულს შეიცავს. ამაში 40,9 პროცენტი ყოფილა ისევ იქაური, იმავე პროცენტებში მცხოვრები, გერმანელი. ესენი კი, როგორც ადგილობრივ დაბადებული და აღზრდილი, რამდენიმეთ ვაპოლენებულთა. მაშასადამე მხოლოდ 5000—6000 ახალი გერმანელი მომატებიათ, და ესენიც ახლო-მახლო პროცენტებიდან. საკვირველია, რომ თუმცა მიმოსვლაც და ჰაერიც ხელს უწყობს გერმანელთა პოლშიში დასახლებას, მარა ისინი ამერიკაში წასვლას უფრო რჩეობენ, ვინემ პოზნანში. ამას გარდა, კომისიის მოქმედებას წინ აღუდგენ პოლონელები, იმათაც დაარსეს ერთი პარტა ბანკი, რომელსაც ასი მილიონი კი არა, ათიც არ მოეძეოდა და შეუდგენ პოლონელთა გასაყიდი მამულების შეყიდვას. ამიტომ კომისია იძულებული შეიქმნა უწინდელი თავისი პლანი შეეცვალა და საჭიროებისამებრ გერმანელთა მამულიც შეეყიდა, ასე რომ უკანასკნელ 4—5 წელს ნაყიდ მამულთა ნახევარი გერმანელთაგან შეიძინა, ხოლო 1896 წ. ნაქვეარზე მეტაც. თითო ჰექტარი დაჯდა 606 მარკათ, მაშასადამე 200,000 ჰექტარის მაგიერი ახლა 140,000 ჰექტარის ყიდვას ანგარიშობენ. გადასახლებულნიც, მიუხედავთ ყოველ ნაირი შეღავათისა, გაჭირებაში ჩაევარდენ. მთავრობის „ანგარაში“ ამბობს: „გადასახლებულთ თუმცა ძალიან ვარჩევთ, მხოლოდ შეძლებულთ და ფულიანთ ვასახლებთ, სახელმწიფო ბანკიდან სესხსაც ვაძლეეთ, მარა მაინც კერძო პარკების ვალებში ვარდებიან და ცხოვრების ბაღში იხლართებიან. სანამ ისინი გადაიხდიდენ რენტას, ბანკის სესხს და კერძო ვალებს, მანამდი ერთნაირ კრიზისში იმყოფებიან...“ ასე თუ ისე, ას მილიონი-

ან ბანკის ათი წლის მოქმედებამ გერმანიის პოლშიში შეძინა მხოლოდ ექვსი ათასამდი გერმანელი და ესენიც გაჭირებულ მდგომარეობაში ჩაყარა! ეს 26 აპრილის კანონის სრული გაკოტრებაა, ეს მთავრობის პლანების სრული დამარცხება! სარგებლობა ერგო მხოლოდ პოლონელ და გერმანელ მემამულეთ, რომლებმაც თავისი რაფათ შეძენილი მამულები ძვირათ გაასაღეს.

ამ გვართ, ეს ორი მაგალითი გვიჩვენებს: 1) გადასახლებულთა აუცილებელი საჭიროებაა საკმაო ნიეთიერი საშუალება და კულტურული მომზადება. 2) გადასახლება მაშინ მყარდება მკვიდრ ნიადაგზე, როცა ახალი და ძველი სამშობლოს კლიმატიური პირობები ერთმანეთს გეანან და 3) როცა ხალხის ეკონომიური განვითარება მას არ ეწინააღმდეგება. თუ რომელიმე ეს პირობა, განსაკუთრებით კი პირველი და მესამე, დაცული არ არის, გადასახლებაც ნაძალადევი საქმეა და ყოველსავე ნიადაგს მოკლებულია... 2)

ნ. ყოზღანია.

სხვა-და-სხვა ამბავი.

თფილისის სამეურნეო საზოგადოების რჩევამ ამ დღეებში მიიღო გურიის სამი სოფლის, ნიგოთის, ლანჩხუთის და ჩიბათის მცხოვრებთა თხოვნა, რომელშიაც წერენ შემდეგს: ეს უკანასკნელი ოთხი წელიწადია რიონი გადმოდის თავის კალაპოტიდან და საყანვ ადგილებს ერთიანათ აობრებს, ჩვენი ცხოვრების ერთათ ერთ წყაროს—სიმინდს—ან აფუჭებს ან და მთლათ მიაქვს. ამისგამო მიწის შემუშავება უკან წავიდა, „მუშები რჩეობენ სხვაგან დლიურ ქირაზე წასვლას, ვინემ შინ დაჩვენას და თავისი, ან სხვისა ადგილების შემუშავებას. სახანე-სათესი მიწები შემცირდა“. აქედან ერთათ ერთი გამოსავალი—ეს არის რიონის ნაპირებზე დამბების გაკეთება, მარა ამაზე ნება-ყოფლობით ვერ შევთანხმდით, ხალხი უარს ამბობს „პრიკოვორის“ გაკეთებაზე, „რადგანაც ამ ნაირი „პრიკოვორებით“ ის არა ერთხელ გაუტყავებიათ“, თუმცა თითოეული ჩვენგანი მზათ არის შრომით, ხე ტყით და ფულით დავებმაროთ ამ საქმეს. ამისათვის გთხოვთ გვიშუამდგომლოთ, სადაც ჯერ არს, და რიონის ნაპირთა გამაგრება გვატვირთი-

2) ამ წერილში მოთავსებული ცნობები ამოკრეფილია შექმდები წყაროებიდან: ლერუა პოლიოს: „Колонизация у новѣйшихъ народовъ“; შროფ. კონჩადის „Handwörterbuch der Staatswissenschaften“; „Stateman's Year—Book for 1892“ და სს.

ნათ. თხოვნაზე ხელი უწერია ათასამდე კაცს. სამეურნეო საზოგადოების რჩევა ამას განიხილავს შობა-ახალწელს შუა და თავისი რეზოლუციით წარუდგენს მთავარ-მართებლის საბჭოს და აქედან შეიძლება ინჟინერი გაგზავნოს რიონის ნაპირების დასახედავით და საქმის ადგილობრივად გამოსარკვევად. სასურველია ეს ჩქარა იქნებოდეს და მუშაობასაც ჩქარა შეუდგებოდენ, თვარა გაზაფხული მოახლოებულია და მერე დამბებას გასაკეთებლათ არც ხალხს სცალია და დაგვიანებულიც იქნება.

„კავკასის“ სიტყვით თფილისში არსდება ქალაქის ფაბრიკა, რომლის ძირითად თანხათ იქნება ნახევარი მილიონი მანეთი.


14 ამ თვეს, რკინის გზის სახელოსნოების და ღებოს მუშებმა, რიცხვით 4000-მდე, ხელი აიღეს სამუშაოზე და ერთი კვირა არ უმუშაიანთ. მიზეზი მუშაობის შეჩერებისა იყო რკინის გზის სამართველოს ცირკულიარი (№ 46), რომლის ძალით მიამაველი წლის პირველ იანვრიდან მოსამსახურეთა დაჯილდოების ძველი წესები უქმდება და მის ალაგას ახალი მყარდება. ამის ძალით ისპობა ავთამყოფ მოსამსახურეთა მუქთი წამლობა, უმცირდებათ ფულით შემწეობა, ეძლევათ ნაცელათ ექვსი მუქთი ბილეთისა მხოლოთ ორი და სხ. და სხ. აი, ამ გარემოებამ უკმაყოფილება დაბადა საზოგადოთ რკინის გზის ყველა მოსამსახურეთა შორის, განსაკუთრებით კი მუშებში და ის იყო მუშაობა შეწყვეტეს. პირველ დღეს არც ერთი საქონლის მატარებელი არ გაუშვეს... 21 ამ თვეს მუშაობა ხელახლა დაიწყეს. ამ საქმის გამოსაძიებლათ პეტერბურგიდან გზათა-სამინისტროს მოხელეა გამოგზავნილი.

მკითხველს ეხსომება, რომ ვექილმა პლიუშევიცკიმ თავ. კ. მუხრან-ბატონს სასამართლოში უჩივლა ასი ათასი მან. მართებს ჩემიო და თანაც მისი მამის ხელმოწერილი თამასუქი წარუდგინა. თ. მუხრან-ბატონმა ეს თამასუქი და ხელ-წერა ყალბათ იცნო. ამისგამო პლიუშევიცკიმ დაჭრა თ. მუხრან-ბატონი და თვითონაც თავი მოიკლა. ხოლო ეს ყალბათ აღსარებული ქალაქი გაგზავნეს პეტერბურგში, ეკსპერტებთან გასაშინჯათ. ექსპერტებს ქალაქი გაუ-

შინჯავთ და დაუდგენიათ: ხელნაწერს არავითარი სიყალბე არ ეტყობაო...

გასულ კვირაში ქ. ვარშაეაში ძველი დაუდგეს პოლშის შესანიშნავ პოეტს და მოღვაწეს ადამ მიცკევიჩს. (1778—1855) მიცკევიჩს წერასთან ერთათ მოქმედებაც ჰქონდა შეკავშირებული. მან მილო მონაწილეობა პოლშის რევოლუციასში და შემდეგ დამარცხებისა (1831 წ.) საფრანგეთში, იტალიაში და სტამბოლში აგროვებდა გადახეწილ პოლონელთა ლეგიონებს ხელ-ახალი რევოლუციისათვის. ამ ბრძოლაში და მუშაობაში ის გადაიცვალა სტამბოლში და დაკრძალეს პარიჟში. 1890 წ. მისი ნაშთი პარიჟიდან დიდის ამბით გადმოიტანეს და აესტრის პოლონელთა დედაქალაქში კრაკოეში - მიწას მიაბარეს. მის თხზულებებში შესანიშნავია ორ ტომიანი პოემა „პან ტადეუში“, რომელშიაც პოლშის ერის სულის კვეთება და მისწრაფება გამოხატული.

წესდება თფილისის კომერციულ სასწავლებლისა, რომელსაც აქაური ვაჭართა საზოგადოება არსებს, უკვე დამტკიცდა და ამ დღეებში გამოცხადდა. სასწავლებელი შერიცხულია საშუალო სასწავლებლათ და შეიცავს შეიდ კლასს: პირველ ხუთში ასწავლიან საზოგადო საგნებს, ხოლო უკანასკნელ ორში სპეციალურ, სავაჭრო, საგნებს. აი, ეს საგნები: სამღეთო სჯული, რუსული ენა და სიტყვიერება, ორი უცხო ენა, ისტორია, გეოგრაფია, მატემატიკა, ბუნების ისტორია, ფიზიკა, სავაჭრო არითმეტიკა, ბუხგალტერია, სავაჭრო მიწერ-მოწერა (რუსულ და უცხო ენებზე), პოლიტიკური ეკონომია, კანონმდებლობა (განსაკუთრებით სავაჭრო და სამრეწველო), ქიმია, საქონლის ცოდნა, კომერციული გეოგრაფია, ლამაზი წერა, ხატვა და გიმნასტიკა. ყველა ეს სავალდებულო საგნებია. ხოლო ადგილობრივი ენები (ქართული, სომხური და სხ.), ცეკვა, გალობა და მუსიკა არ არის სავალდებულო... სასწავლებელში მიიღებენ ყველას, ვინც ეზამენს დაიჭერს, უპირატესობა კი ვაჭართა შეილებს მიეცემათ. სასწავლებელთან შეიძლება მოსამზადებელი კლასებიც დაარსდეს.



ჩვენ მივიღეთ: „სიტყვიერების თეორია“ შედგენილი ანსიმანდრიტის კაჩიანისა და გ. უიფშიძის მიერ. შეიცავს 640 გვერდს და ღირს შედარებით ამაყად — სულ ერთ მანეთად.

გ ა ნ წ ი რ უ ლ ნ ი

(საშობაო მოთხრობა).

გუძღვნი ან... წ...

სოკოტობის საღამო იყო. სოფლის განაპირას ცარიელ მინდორზე იდგა ერთი სახლი, რომლის სახურავსაც კარგა დიდი თოვლი დაწოლოდა. ცალ მხარეზე სახურავი გადახდოდა და შიგ სახლში ერთ კუთხეზე თოვლის ზენი ეყარა, სახურავიდან ჩასული. შუა კერაზე ორი ნალოების ნამწვები იდგა, თავჩაფერფლულები. ნაცარგავსებულ კერაზე ცეცხლი მინელეხულ იყო და ზედ სქელი ფერფლი გადაფარებოდა. კერას გარშემოსხდომოდა ხუთი ბოეში, ყველა პერანგსამარები, თავშიშვლები და მუხლებ ქვემოთ, რაზედაც პერანგები არ წვდებოდათ, ჩაჩუთრული წვივები მოუჩანდათ; ყინვა-ტალახისგან დახეთქილი ფეხები ნაცარში შეეწყობა გასათბობათ. სულ უფროსი იქნებოდა ასე თორმეტი წლის ეაფი, ნალოზე იჯდა და თვლებს იქით-აქეთ აფეთებდა, თითქოს ფიქრობდა, რა გვეშველება?... ხვალ შობა არის და საკლავათ ღორი კი არა, ქათამიც არსად გვეშოვებაო. თუ დედამ მგზობლებში ვერა იშოვარა, ვაი თუ ვერც კი გავიხსნილოთო.

— სად ალი დედა? მცევა!... მშია!... — აჭუჭყუნდა სამი წლის გოგო და ატირებული თვლებიდან ცრემლის კურცხლები გადმოყარა.

— ნუ ტირი, ქაქლო, ნუ ტირი!... — მოფერებით დაუყვავა თორმეტი წლის ბიჭვა; დედა მაღე მოევა, ქათამს მოგვიყვანს, მისი კუჭი და დეიძლი ხვალ შენი იქნება. ცოტა მოიცადე, დედას შენთვის კორკოტის ნარჩენი აქ შენახული.

— აღ მინდა კოლკოტი ალა, ალა... დედა მინდა! — კიდევ უფრო გააბა პაწია ქაქლომ ღრიალი. სხვებიც თითქოს ქაქლოს ფეხის ხმა აჰყვენ და მორთეს საერთოთ ტირილი. თორმეტი წლის ბიჭი წა-

მოვარდა უცებ და გაეშურა კარებისკენ, ორივე ხელები მიაბჯინა კარების ჩარჩოს და დაუწყა თოვლიან მინდორს ცქერა, თითქოს ელოდა დედის მოსვლას. მართლაც ამ დროს სახლს მოეშურებოდა ერთი შუახნის დედაკაცი, მუხლებამდის კაბა-აწეული, რომლის განები სარტყელში ჰქონდა ჩაბნეული, ტიტველი ხელები ილღიაში ჰქონდა ამოდებული, ეტყობოდა შეცივნოდა. შემოვარდა თუ არა სახლში, უფროსმა შეიღმა შეჰყვირა: დედა, სად იყავი აქამდის?... ბოეშებმა ზრიალი შექნეს, ქაქლო ველარ გაეჩუმე, დედა მინდაო — ტიროდა.


— დედა მოგიკვდათ, წყალწადებულთ შეილებო!... ნეტამც, მართლა, აღარ მქნა ქვეყანაზე! — წაილაპარაკა ქალმა სასოწარკვეთილებით, გაეშურა კერას და სიცივით გალუგული ფეხები ჩატნტრა თფილ ნაცარში. ამ დროს ქაქლომ გაუწვდინა დედას თავის პაწია ხელები: „ამიკვანე!“... დედამ დაავლო ხელები თავის პაწია შეიღს, ჩაიხუტა გულში და დაუწყა კოცნა: „რაო, დედა, რატომ ტირი? შენ მოგიკვდა შენი დედა, რომ თქვენი ტანჯვის ხმა იმას აღარ ესმოდას“.

დანარჩენი ბოეშები წამოვარდენ ზეზე, შემოეხევენ მას ჭივილ-ხივილით, ზოგი კაბას წვედა, ზოგი მის კაბის კალთებში იმალებოდა და ყველა ერთიანათ შედივოდენ „გეცივა დედა, ცეცხლი ჩაქრა“.

— კა, შეილებო, ახლავე დაგინთებთ ცეცხლს, დამაცალეთ. იმან ქაქლო ისევ ჩამოსვა ძირს, მოავლო ცულის ხელი, შეახეთქა რამდენიმე სანათი ნალოებს, გამოჩხრიკა ღველფი, ააკიზინა ცეცხლი, დაყარა ზედ სანათები, დაჯდა კერის წინ და შემოისხა გარშემო თავის შეილები. ცოტა ხანს იქით ცეცხლი გაძლიერდა, ნალოებს მოედვა და ალი კარგა მაღლა ავარდა. გაცოცხლებულმა კერამ ბოეშების ყურადღება მიიქცია. დედა მათი ახლა მიუბრუნდა თავის უფროს შეიღს და იწყა წარსული წლის მოგონება.

— შეილო, შარშან უფრო ბედნიერი ვიყავით. შარშან საშობოთ მამა შენმა ამ დროს კარგი მსუქანი ღორი დაკლა... —

— უი, დედა!... მართლა! მამინ რა მხიარულათ ვიყავით! — ჩამოართვა სიტყვა უფროსმა შეიღმა. — მეც ვეხმარებოდი გაფხეკაზე. როცა მამამ ღორი გაუფუ-



ქა და გაწმინდა, ამ კერაზე რომ მაშინ დავიწყებულნი ვიყავით, შედეგად ზედ და დაუწყო ტრუსეა. ისე გარუჯა, რომ კანი დაეწვა, სულ შავით გადიქცა. მერე რომ ჩამოიღო, დანით ვუხეკდით, მეც ვეხეხებოდი, სულ ბამბის ქუთასავით გავხეხეთ. მერე რომ გაუტრა მამამ და გულ-ღვიძლი ამოუღო, ერთი ნაჭერი ღვიძლი მე მომცა სამწვადეთ..

— მეც, დედა, მეც მომცა!—სინარულით წამოიძახა მეორემ.

— მე გულისჩანათალი მომცა. — დაატანა ქულოპანით მესამემ.

— გავთალეთ შამფურები, წამოვავეთ ზედ სამწვადეები და დაუფიცვით ამ კერაზე... უჰ, დედა, რა გემრიელი იყო! — განაგრძო ისევ უფროსმა შვილმა.

— არა, ჩემი მწვადი, გულისჩანათალი, უფრო გემრიელი იყო, — შეედავა მას უმცროსი ძმა. ამ დროს წამოიწია პაწია ქაქლო ტირილით და შეჭყვირა დედას.

— დედა, მე ლოლის ღვიძი მინდა, ლოლის ღვიძი!...

— უი, შენ დედას, ნეტაი აღარ მქნა რომ ამ ბედს არ შევსწრებოდი! — ამოიხენეშა ქალმა მწუხარებით და დაირტყა მუხლებზე ხელები. — ვაი, თქვენს დედას, შვილებო. წრეულს საშობოთ ღორი კი არა, ქათამიც აღარ გექნებათ. რა ექნა მე უბედურმა, სად წავიდე, ვის შევტერო ჩემი მღვთმარეობა? იმ უბედურმა მამა თქვენმა მთელი მეზობლობა ააქოთა, ყველა გადაიმტერა. უიმისათ ჩვენ ვინლა შემოგვხედავს. რა უდროა დროს დაიბნელდა მზე. იქნება ის უბედური, ჩვენზე უფროც მწუხარებაშია ახლა, ნაობალტში გამოამწყვდევული. თქვენ მკადი მაინც გეშოვებათ და იმას იქნება მკადი კი არა წყალიც ენატრება... რანაირათ შეუბრალებლათ გაუკრეს ხელები! ახლაც თვალწინ მიდგას მისი შესწინებული ფერმკრთალი სახე... მშვიდობით, უბედურო ჩემო ცოლ-შვილო, ვაი თუ ველარც კი მოვესწრო თქვენ ნახვასო... უიმე, უიმე... რა ენახე, რას მოვესწარი?... რომ მომკვდარ იყო ის უბედური; ათასწილათ მერხია, იმის ისე გაუპატიურებას..

ამ ლაპარაკზე ბოეშები კვლავ აზვილდენ. უფროს შვილს თვალეებზე ცრემლი წამოადგა.

— დედა, მშინა — ტირილით მოეხდაუჭა ამ დროს პაწია ქაქლო,

— მოდი, შვილო, კორკოტის ნარჩენი მაქ თახჩაში. — აიქვანა პაწია და გავშურა თაროსკენ.

— მეც, დედა! — მოიძახა მეორემ,

— მეც, დედა! — განაგრძო მესამემ

— მეც... მეც... — და ყველა შვილები გამოედევნენ უკან, უფროს შვილს გარდა, რომელიც კერასთან იჯდა და ცრემლიან თვალეებს იწმინდა.

მას აქეთ, რაც ოჯახის პატრონი ბერი გიჟია-შვილი დაიჭირეს და წაიყვანეს სატუსალოში, მისი ცოლი და წერილი შვილები თავმოკრილ ქათამსავით დაფოფხავდენ, არ იცოდენ, რა ექნათ და, ის იყო, საცხოვრებელიც შემოლეოდათ.

ბერი გიჟია-შვილი ობლობის ვაებაში იყო გაწვრთნილი. ხუთი წლის იყო, რომ დედ-მამა დაეხოცა და ბერიკა — ასე ეძახდენ მას პატარაობაზე — აიყვანა ბებიდამ სამადლოთ. ყმაწვილობიდანვე ეტყობოდა ბერიკს ხასიათის სიფიცხე და მესისხლეობა. ბებიდა ძალიან ტუქსავდა ყმაწვილს უსაქციელობისთვის, მაგრამ პაწია ბერიკი რაღაც დაბადებიდანვე თავისებური ხასიათის იყო; რაც თვითონ ჭკუაში არ მოუვიდოდა, ვერას გააკეთებებდა კაცი. ის საოცარი მტერი იყო ბოსტნების და ყანების. როგორც კი სიმიდი მოიწვოდა, მეზობლის ყანები განადგურებული იყო მისგან. მისი ხნის ბოეში რომ იმისთანა უშიშარი ყოფილიყოს უმთვარო ღამეში სიარულის დროს, არავის უნახავს. როგორც კი შებინდებოდა, ბერიკა გადიპარებოდა მეზობლის ყანაში და ოც, ოცდაათ ტაროს ერთათ მოამტერებდა, მოიტანდა შინ და იყო მისგან ერთი ხუხეა და წვა ჭყინტლი სიმიდებისა ნაკვერცხლებზე. რადგან თვითონ მის ბებიდასაც ძალიან უყვარდა შემწვარი ახალი სიმიდი, ამისთვის ბერიკას არას ეუბნებოდა, თუმცა კარგათ იცოდა, რომ მისი ბარობით მეზობლის ყანები განადგურებული იყო. ერთი უღელი კაჭიჩი იმდენ ზარალს ვერ მიცემდა ყანას ერთ ღამეში, რასაც ბერიკი ერთი საათის განმავლობაში უზამდა. ის იყო აგრეთვე კიტრისა და ნესვის მტერი. ყოველ ზაფხულობით იყო მეზობლებში ერთი ჩივილი და შუთი: „პაწია ბერიკმა ამოგვიგლო ყანები და ბოსტნებიო“. ხშირათ მიდიოდენ მის ბებიდასთან საჩივრელათ; მაგრამ ბებიდაც ასე ეტყოდა: „რა ექნა, ბატონო, ეგ ერთი რაღაც ღეთისრისხვა და ეშმაკის შვილია, მაგაზე არც წყრომა და არც გალახვა არ მოქმედებსო. ჩემი ყანაც და ბოსტანიც მაგან განადგურა. სულ კიტრის და ნესვის ბარდები დამითელა, გამიჯევა, გამიხმო, მარა რა ეუყო. გაუდარაჯ-

დით, ბატონო, და, თუ შეისწოთ, თუნდ კიდევ მოკალითო“.

მართლაც ერთ საღამოს, ასე სოფლის ვაზშობის დრო იყო, მოადგა კარზე მწარეთ აზუფლებული ბერიკა: ცხვირში სისხლი მოდიოდა და ყურის ბიბილი ნახევრათ ახეული ჰქონდა.

ბებიდას ძალიან შეეცოდა ამ მდგომარეობაში პაწია ბერიკა, ბევრიც წყველა ავი მეზობელი, მაგრამ თვითონ ბერიკასაც ასე ეუბნებოდა: ავრე მოგიხდება, რომ არ დაცხრები, შე უბღუროეო. ნუ ხარ კატრის, ნესვის და სიმილის მუსუსი, თვარა ერთხელაც არის, მოგკლავს ვინმე. მთელი მეზობლები მოგვანდურე, შე უკმეხო! რა დაგათრევს ამ ღაჩეში, დაეგდე შინ და იყავი.

ბერიკმა გულში ჩაიგდო ეს ამბავი და ორი კვირაც არ გასულა მას აქეთ, რაც ის გაუდარაჯდა ერთ ხევში მის გამლახვე მეზობელს, რომელსაც დაგვიანებოდა ყანაში. ბერიკს დაეგროვებინა ერთი კალთა წვრილი რიყის ქვეები და მიმალულ იყო ხევისპირათ ჩირგენალში. კარგა დაღამებული იყო, რომ მისი მწარეთ გამლახველი ჩამოვიდა იმ ხევში. ბერიკამ იშოენა დრო და მოურთო რიყის ქვეები. როგორც წვიმა, ისე მიაყარა: ზოგი ბექებში მოახვედრა, ზოგი კისერში, ზოგი თავშიაც. მეზობელი გაოცდა და იკადრა გაქცევა. ბერიკი გამოვიდა და თან ქვეებს ესროდა. მეზობელმა სხვა ვერა იფიქრა რა, სწორეთ რალაც ავი სული, ან ალი დამხვდა ხევშიო, შეშინდა და თან დაიწყო ხმა-მალლა ყვირილი: „წმინდა გიორგი ლომისისა, შენ დამხსენ ალცგანო“; მაგრამ სანამ ეზოში არ ჩაასწრო, არა ეშველარა. შეეცდა თუ არა ეს კაცი თავის სახლში, ცოლი შეერთა მისი დანახით. ქმარს სახე გაფითრებოდა, თმა აბურძღნოდა, თვალები ვადმოკარკლოდა. ერთი კი შეძახა ცოლს, მელანია, მიშველე, ალი მომდევსო, და იატაკზე გაიშხლართა. ცოლი მივარდა კვილით, ძლიეს აათრია ქმარი და ლოგინზე დააწინა. მერე ჩაჰკითხა: კაცო, რა დაგემართა, მართლა მავნე ხომ არ დაგხვედრიო, მარა პასუხი ვერა გამოიტანარა მისგან. ქმარს ენა ჰქონდა ჩავარდნილი. იმ ღამის შეშინებულს მისცა სიცხე და ორი თვე ფეხზე აღარ დამდგარა, რაც იმ სოფელში მკრთხაეები და მარჩიელები იყვენ, ყველანი მოიპატიჟა მელანიამ ქმრის გამოსალლოცავათ; ყველამ ასე უთხრა: „ალი დახვედრია და იმას დაუბეჯია შენი ქმარი ქვეებითაო, ლომისის წმინდა გიორგის შეწრე ერთი ცხეარო, თუ გინდა, ქმარი გამოგიმთელდესო“. თუმცა ყველა ამ უბედურების მიზეზი პაწია ბერიკი იყო, რომელმაც ასე მწარეთ გადაუხადა მეზობელს ცხვირის დანაყვა და

ყურის ბიბილის ახევა, მარა მას ეს ამბავი არავისთვის გაუმხელია.

ბერიკი რომ თექვსმეტ ჩვიდმეტი წლის ახალგაზდა შეიქნა, თავის ბებიდასვე მოტაცა ნათლული, ერთი წელწერწეტი ათქირებული გოგონა, შეერთო ცოლათ და დადგა ცალკე. ბერიკს ახლა ბეროს ეძახდენ. ის იყო შოლტიეთ მოქნილი საროსტანის ჭაბუკი, რომელსაც წვერ-ულღაში ემწვანებოდა. მისი განიერი მხარ-ბეჭი მკლავის ღონეს ამტკიცებდა, ხოლო მისი ცეცხლმფრქვევი და დაუწყნარებელი თვალები უზომო ს-ხარბეს და შეუბრალებლობას ხატავდენ. ის იყო ერთი აზნაურთაგანი, რომელსაც მართო ერთი დროებითი ვალდებული გლეხი კიდევ შერჩენოდა და ხან დილით აწიოკებდა, ხან საღამოთა.

ახლაც ის სახლი, რომელიც მას ედგა ნახევრათ გადაუხურავა, თავის გლეხისგან ჰქონდა წართმეული. შარი მოუდგა, ხუთი წელიწადია, ნადელი არ მოგიციაო და სამაგვიროთ ეს სახლი წაართვა, მისივე ხარებით ჩამოატანია და საეზოვე გავერანბულ მინდორში დაადგმევინა.

მისი სიოზლით ისარგებლეს მამა მისის სახლიკაცებმა და რაც ადვილ-მამული ბეროს დარჩა მამა მისისაგან, სულ მეზობლებმა მიითვისეს, რადგან ობოლს პატრონი არ ჰყავდა და მოხუცებული ბებიდა კი ვერას აწყობდა. მაგიერთ როგორც კი ბერიკა წამოიზარდა, ცოლი შეერთო და ბებიდას გამოეცალა, ყოველთვე ნაუსამართლეთი თავის სახლიკაცებისა დაწვრილებით შეიტყო ზოგი თვით ბებიდასაგან და ზოგი მეზობლებსაგან. ამათ შურდათ ბერის სახლიკაცებისთვის მეტი ადვილ-მამულის შეძენა და მკლავ-ღონიერს ბერს აქეზებდენ, რომ სახლიკაცებისთვის არ შეერჩინა მისი მამა-პაპეული მიწაწყლის მითვისება. ამისგანო ულუყუა პუროთ დარჩენილი სისხლმჩქეფარე ახალგაზდა კბილებს უკრატუნებდა თავის ანგარებისმოყვარე ნათესაებს და ეძებდა შემთხვევას, რომ თავის მამ-ს დანატოვარი მიწა წყალი სახლიკაცებისაგან ისევე უკან დაებრუნებია.

ყველაზე უფრო მარჯვე დრო ამისთვის, რასაკვირველია, ჭირნახულის შემოსვლის ალო იყო. როგორც კი ს-მილი, პური ან ქერი მომწიფდებოდა მამა მისისეულ ყანაში, ბერი შეიწედა ორ, სამ გლეხს, წინ წაიძლოლებდა თავის დროებით ვალდებულ გლეხს ხარ-ურმიანა, მოტენდა ან მომკიდა სახლიკაცის დათესილ ყანას და ჩამოიტანდა შინ. ამ გვარი მოქმედებით იმან ბარე ორი-სამი-საყანე დაიბრუნა; ხოლო თავისი მოდავეები კეტით გაზურგა და გაითქვა სოფელში ძალმომრევის სახელი. ამ გვარი მოქმედებით ბერმა გიყიაშვილმა ძალიან დაიმტერა



ძველი წელიწადი ჯვარტვირთული მიდის.

სახლიკაცები და შორეული ნათესაეები. ისინი მუდამ ცდილობდნენ, რამე ცუდი შეემთხვიათ მისთვის: ბერს ან თავი წაეგო, ან ვინმე შემოკედომოდა.

შემოდგომის დამდეგს სოფელში სიმიდის ტეხა იყო გახურებული. ყოველ საღამოობით მთიდან მოქონდათ მეპატრონეებს ძარებით მოტეხილი და გლეხებისაგან გამოყოფილი სამოდო. ბერი გიჟიაშვილი მეტათ აღლევებულნი დარბოდა ხან მთაში, ხან ბარათ. ყველას ეჩხუბებოდა, ჩემი ადგილებიდან სიმიდი წამოვიღიათ, ან გამომიყავით, ან თავს გადაგუწეწოთ. ეჩხუბოდა ის დილით აღრიანათ მიდიოდა მთაში ორი უღელი ხარ-ურმით. მესრეები დაეპატუა იმ დღეს სამუშაოთ. კარგი მსხვილი კეტი მხარზე გაედვა და დაპატუებულ ხარ-ურმიან მუშებს წინ მიუძღოდა, მის სქელ გაბურძღვულ თმებს მთის საო ეთამაშებოდა.

— ბიჭებო, — უკან მოხედა ბერმა მუშებს — თქვენ არ დამიჯუთხეთ. ჩემ ადგილში დღეს სახლიკაცს ტეხა აქვს. სიმიდი უნდა წაფართვა და ორიოდეჯელ ეს კეტი უნდა დავაზმანო ზურგზე, რომ მეორეთ აღარ გაბედოს ჩემი ადგალის მოხნა.

— აჰ, ჩვენ ნუ გაგვრევე, ღმერთი გადღეგრძელებს, თქვენ ჩხუბში — გულ-შეკრთალათ უპასუხეს გლეხებმა.

— ნუ გეშინიათ. თქვენ მარტო სერი იყურეთ. როცა გიბძანოთ, მოტეხილი სიმიდი ძარებში ჩაყარეთ და წამომიღეთ. თითს ვერაინ დაგაწებსთ.

გლეხებმა პასუხი არ გაცეს, მაგრამ ჩუმათ ერთმანეთს უთხრეს: — ბიჭებო, თავს ვუშველოთ, თვარა ეს გეჟი დღეს მარცხს იზამს. ჩემ მტერს მოხედა მაგისი მოქნეული კეტი. მერე ამ ოჯახქორს, სად გამოუჭრია ამ სისხო კეტი? სახლის საძირკვლათ გამოადგება. არა, ძმაო, რაეარც დავინახოთ, რომ ერთმანეთზე მიიწიფეს, ჩვენ მაშინვე დავატრიალოთ ხარ-ურმები და წამოვიდეთ შანისკენ. ამასობაში ბერმა და მისმა მუშებმა ერთი სერი აივაკეს და შორს გამოჩნდა ოქროს ფერათ გადაყვითლებული სიმიდის ყანა, რომელშიაც გახურებული ტეხა იყო.

— მად დამიდექით, თუ კარგი ბიჭები ხართ — უკივლა ბერმა და შეანძრია მძლავრათ ჰაერში თავისი კეტი. სახლიკაცის მუშებმა მაშინვე დაანებეს თავი მუშაობას და განზე გადგნენ.

— რა გინდა, შე მგელო, რას მომხდომიხარ ამ ჩემ ყანაში — მოაძახა იქიდან ერთმა ვაჟკაცმა და ჩამოეგება. იმასაც მსხვილი კეტი ექრა ხელში და იქნედა. ბერის მუშებმა უცბათ გამოატრიალეს ხარ-ურმები და დაეშვენ თავ-დაღმა. ჯერ ესენი კიდევ სოფელში არ ჩამოსულიყვენ, რომ ხმა გაეარდა, ბერ

გიჟიაშვილს თავის სახლიკაცისთვის კეტი თავში დაუტუნია და სული გაუკვდებინებიაო. მეორე დღეს ბერ გიჟიაშვილს პოლიციის ბოქაული თავზე დაესხა ჯარით, დაიჭირა, შეჭკრა ბაწრით და წაიყვანა.

შობის წინა-კვირაში ქალაქს ქ... ჩავედი და ოლქის სასამართლოში მივედი, რალაც საქმე მქონდა საკითხავი. იქ ღერფთანში ხალხი მოგროვილ იყო და თოფების ჩხარა ჩხური შემესმა. მევედი ახლოს და რას ეხედავ? — ერთ მალალ-მალალ განიერ მხარბეჭებთან ტუსალს ხიშტიანი სალდათები გარს-შემოტყემოდენ. ტუსალი მეტათ მალალი მომეჩვენა, რადგან სალდათები მას ძლიეს ილლიამდის წედებოდენ. საპრობილეს მეტათ გაელახა ეს საწყალი, ტყავისა და ძელების მეტი აღარა იყორა. სახეზე მიწის ფერი ედვა. „ბერი გიჟიაშვილი!“ — უნებურათ წამოვიძახე. სადლა იყო მისი სქელი ხუჭუჭი თმა, ან ღონიერი მკლავები. დამინახა თუ არა, იმან ნახევრათ გაღებული თვალები სულ გადმოკარკლა და შემომძახა: „შემიბრალე, ხედავ რა ბედში ჩავეარდი. დღეს უნდა გამასამართლონ. მოისხი ჩემი წერილი ცოლ-შვილის მალლი, შემეწიე, მისაშუალე რამე“. ამდროს ხიშტიანმა სალდათებმა ხმა გააწყვეტინეს.

მე უნებურათ გული ამიჩუყდა, წამოვედი შინ, მარა მისი ტანჯული სახე თავიდან არ მშორდებოდა, მოჩვენებათ გადამექცა: აქ ეს კაცი უნდა დაღუპულ იყო და იქ სოფლათ ექვსი სული აღამიანი. ვინც დაწერილებით ცოდა ამ კაცის ამბავი არ შეიძლება არა შებრალებოდა. მოსამართლეთა წინ ედვათ მზა-კანონი და გამოძიება, რომლითაც ცხადათ მტკიცდებოდა, რომ ბერს გიჟიაშვილს კაცი მოეკლა. მაშ სამუდამოთ უნდა დასჯილყო ციმბირის მადნებში სამუშაოთ. ასეთმა მოსაზრებამ კიდევ უფრო ააღელევა ჩემი გონება. აი, აქ არის-მეთქი — წამოვიძახე — საჭირო ნაფიცი მსაჯულები. თვითონ მაგის კუთხის კაცები რომ დაგვევათ დამნაშავეს განსასჯელათ — ისეთი კაცები კი, რომ დამნაშავესთან არავითარი დამოკიდებულობა არ ჰქონოდათ, არც მტრობა, არც მეკობრობა — მე დარწმუნებული ვიყავი, რომ მაგისთანა დამნაშავეს გაამართლებდნ და ახლა ვინ იცის, რამდენი მაგისთანა კაცი ისჯება და რამდენი ოჯახი იღუპება!... ბერი გიჟიაშვილის გასამათლებას აღარ დავესწარი და ბინაზე დავბრუნდი.

იმ დამეს რალაც ძილი გამიტყდა. სულ იმ უბედური კაცის სურათი მიდგა თვალწინ. ბოლოს მამლის ყიულისას მიმეთვლიმა და ენახე საკვირველი სიზმარი. ვითამც ბერი გიჟიაშვილის განსჯა იყო. მო-

სამართლეთ თორმეტი კაცი ამოერჩიათ იმ კუთხიდან, საიდანაც თვით დამნაშავე იყო. საბრალდებულთ სკამზე იჯდა ბერი გიჟიაშვილი, რომელიც მე თვალს არ მაშორებდა და მიძახდა: „დამიცვე, დამიფარეო“. ვითამც მეც დაეთანხმდი. წამოდექი და დავიწყე ბერის საქომავოთ ლაპარაკი. ჯერ ავწერე მისი სიობლე, მისი ლეთის ანაბარათ აღზრდა, მეზობლების უსამართლოება, იმათ მიერ მითვისება ბერი გიჟიაშვილის მამა-პაპეულისა და როცა ბერი დავაქცა, თუ როგორ მოთხოვა უკანვე თავის სახლი-კაცებს მისი მამა-პაპისეული ადგილ-მამული, როგორ მიიქცა ჯერ სასამარლოში და იქ რომ ეგრა გააწყურა, როგორ შეუღლა თავისი მხნეობით და მძლავრობით მამა-პაპის მიწა-წყლის დაბრუნებას, როგორ გაუძალდა იმათგანი ერთი ავი სახლიკაცი, რომელიც აღარ ანებებდა ერთხელვე მის მიერ მითვისებულს ბერის მამის ყანას, როგორ იძულებული შეიქნა ბერი, ჩხუბი აეტეხა და ამ ხელდახელ შეტაკებაში როგორ შემოაკვდა ბერს ავი სახლიკაცი. შემდეგ ვითამც ცოცხლათ დავხატე და დავახასიათე მისი წვრილი შვილების გაჭირვებული ცხოვრება და ბოლოს შევეყირე ნაფიც მოსამარლევებს: ეთქვათ, რომ თვით ბერი გიჟიაშვილი თავისი უკმეზი ხასიათით შესაბრალებელი არ იყოს, ნუ თუ მისი წვრილი შვილები მაინც არ გებრალემათ, რომელიც შემშლით უნდა დაიხიკონ, თუ მათ მოაკლდათ მრჩენელი მამა. მე ვუყვი თვით თქვენ მამობრივ გრძობას, წარმოვიდგენ ამავე მდგომარეობაში თითოეულს თქვენ წვრილ შვილებს,—იმათ დედებს და მათი მეოხებით ვიწვევ თქვენ თანაგრძობას დამნაშავესადმი, რომელიც იძულებული იყო იმავე წვრილი შვილების გულისთვის ჩაედინა ასეთი წინდაუხედავი უნებური დანაშაულობა-მეთქი. ამ ჩემმა სიტყვებმა ვითამც დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს, როგორც ნაფიც მსაჯულებზე, ისე თვით მთელ საზოგადოებაზე. ვითამც საზოგადოებამ დამიკრა მოწონების ტაში და ამ დროს სასამართლოს დარბაზის კუთხიდანაც მომესმა ერთი ქვრივის ქვითინი, რომელსაც ქმრის სიკვდილს შემდეგ დარჩენოდა რამდენიმე წვრილი შვილები და დიდ გაჭირვებაში თურმე იყო ჩაფარდნილი.

ნახევარ საათს შემდეგ ნაფიცი მსაჯულები გამოვიდნენ და ვითომ გამართლეს ბერი გიჟიაშვილი. საზოგადოება ძალიან კმაყოფილი დარჩა. ამ დროს ვითამც მომეარდა ბერი გიჟიაშვილი, გადამეხვია და თავის მძლავრ მკლავებში ისე ჩამიკრა, რომ მახრჩობდა. მართლაც ძილში ვიგრძენი, რომ რაღაც სული მეგუბებოდა და ძალა დავატანე ჩემ თავს გამომლევძებოდა. გავაჭყიტე თვალები და შევნიშნე, რომ მზე მალლა წამოსულიყო. მაშინვე წამოვარდი ლო-

გინიდან, საჩქაროთ ჩაეცვი, პირი დაეიბანე და მოვედი ქალაქ ქ... სალაყბოზე მზიარული სახით, რადგან ჯერ სიზმრის შთაბეჭდილება კიდევ არ გამომნელებოდა. ამ დროს წინ შემეფეთა ის ნაფიცი ვეკილი, რომელიც გუშინ სასამართლოს სხდომაში ბერ გიჟიაშვილს იცავდა და საჩქაროთ ვკითხე, რა ჰქენი?... როგორ გათავდა-მეთქი—ბერი გიჟიაშვილის საქმე?...

იმან თვალეზი დანაბა, ხელი უსიამოვნოთ გაიქნია და წარმოთქვა:—„კატორლა გადაუწყვიტესო“.

ამ გაგონებაზე თითქოს რაღაც გულისძაფი ჩამაწყდა: „საცოდავი მისი წვრილი ცოლ-შვილი!“

გ. წეტყული.


კრიტიკული შენიშვნები.

(დასასრული *)

(„ბუნება და ცხოვრება“ ილია ალხასიშვილისა 1897 წ.)

